საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემების გაშუქება თანამედროვე ქართულ მედიაში

COVERAGE OF THE PROBLEMS OF CULTURAL HERITAGE PROTECTION IN GEORGIA IN THE CONTEMPORARY GEORGIAN MEDIA

ხათუნა კაჭრავა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო
პროგრამის ხელმძღვანელი,
პროფესორი
Khatuna Kacharava
Caucasus International University
Head of Mass communication PHD Program
Faculty of Social and Sciences, Professor
ORCID: 0009-0009-1516-8846
Email: khatuna.kacharava@ciu.edu.ge

აბსტრაქტი

კულტურის საკითხების გაშუქება მედიაში დროისა და სივრცის შესაბამისად იცვლება. ძირითადი ტენდენციები მოიცავს ექსკლუზიურსა და ზედაპირულ ანონსებს, ღრმა ანალიტიკას, მულტიმედია ფორმატებსა და სოციალურ ქსელებზე გადართვას.
ნაშრომში შესწავლილია კულტურული მემკვიდრეობა და კულტურული ლანდშაფტი თანამედროვე მედიის რეალობაში; გაანალიზებულია მედიაში ასახული ის კულტურული მემკვიდრეობები და ფასეულობები, რომელიც წარსულთან გვაკავშირებს, გვაძლევს მყარ საყრდენს და ერთგვარად გზას გვიკვალავს მომავლისაკენ.
ამ კონტექსტიდან არის დანახული გელათის პრობლემების გაშუქების ტენდენციები მედიაში, საყდრისის პრობლემები, პლატონ იოსელიანისა და ექვთიმე თაყაიშვილის დიდი ღვაწლი ქართული კულტურის ქართული ეროვნული იდენტობის, სულიერების, კულტურული მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესში.
ნაშრომში ნაჩვენებია, რომ კულტურული მემკვიდრეობის გაშუქების პრობლემები მხოლოდ ინფორმაციული მოვლენა არ არის; ის სერიოზული სოციალური ინსტრუმენტიცაა; შესაბამისად, ზემოქმედებს პოლიტიკურ პროცესებზე, საზოგადოებრივ განწყობებსა და სახელოვნებო პროფესიულ წრეებზე. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მედიის ობიექტურობა და პასუხისმგებლობა ასეთ მგრძნობიარე თემებზე მნიშვნელოვანია. ქართულმა მედიასაშუალებებმა განსხვავებული მიდგომებით აჩვენეს საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: მედია, გაზეთები, გელათი, საყდრისი, პოლიტიკური, კულტურა, ანალიზი, ლანდშაფტი, იდენტობა.

Abstract

The coverage of cultural issues in the media changes in accordance with time and space. The principal trends include exclusive and superficial announcements, in-depth analysis, multimedia formats, and a shift toward social media platforms.

This paper examines cultural heritage and the cultural landscape within contemporary digital reality; it analyzes the cultural heritage and values reflected in the media that connect us to the past, provide us with a firm foundation, and, in a certain sense, chart a path toward the future.

Within this context, the study examines trends in media coverage of the problems surrounding Gelati, the issues concerning Sakdrisi, and the substantial contribution of Platon Ioseliani and Ekvtime Takaishvili to the process of shaping Georgian national identity, spirituality, and cultural memory through Georgian culture.

The paper demonstrates that the problems of cultural heritage coverage do not constitute a purely informational phenomenon; they also serve as a significant social instrument and, accordingly, exert influence upon political processes, public sentiment, and professional artistic circles. Accordingly, we arrive at the conclusion that media objectivity and responsibility on such sensitive subjects are of considerable importance. Georgian media outlets have portrayed the problems of protecting Georgia's historical heritage monuments through differing frames.

Keywords: media, newspapers, Gelati, Sakdrisi, political, culture, analysis, landscape, identity.

შესავალი

კაცობრიობის პროგრესთან ერთად ბევრი ცნება და საკითხი გადაისინჯა, საუკუნეების მანძილზე ადამიანთა მიერ ფასეულობათა გადაფასების პროცესში ისეთ მარადიულ ცნებასაც კი როგორიცაა - კულტურა - მნიშვნელობა შეეცვალა და სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული მნიშვნელობები შეიძინა. მაგალითად, კულტურის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობდა იმანუელ კანტი, იგი ერთმანეთისგან განასხვავებდა ბუნებისა და კულტურის სამყაროს, მისი აზრით, მხოლოდ კულტურის სამყაროა ჭეშმარიტად ადამიანური, ადამიანი, როგორც ბუნების ნაწილი არ არის თავისუფალი, ის მისგან დამოუკიდებელად არსებული მოვლენების გავლენას განიცდის, ბუნება, რომელსაც განვითარების საკუთარი კანონზომიერება ახასიათებს თავდაპირველი ბოროტების საწინდარია, ეს ბოროტება არ არის ფატალური ამ ბოროტების დაძლევა შეიძლება, მეტიც აუცილებელიცაა და ეს კულტურით მიიღწევა, - აღნიშნავს იგი. (ზაქარაძე, 2009) კვლევის პროცესში გავეცანით ალფრედ ვებერის, მაქს შელერის, კარლ მანჰაიმის, თეოდორ ადორნოს, ვალტერ ბენიამინის, ზიგფრის კრაკაუერის ნააზრევს კულტურის შესახებ, ხშირ შემთხვევაში მათი დამოკიდებულება კულტურასთან მიმართებაში სრულიად განსხვავებულია, თუმცა მათ ერთი საერთო მახასიათებელი აქვთ, ისინი არ დავობენ კულტურის მნიშვნელობაზე და ისევე როგორც იმანუელ კანტი მის უდიდეს მნიშვნელობას უსვამენ ხაზს.

საბედნიეროდ, საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლის საუკუნოვანი ისტორიული კულტურის ძეგლები მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ირიცხება; მათ შორისაა მცხეთა (სვეტიცხოვლის, ჯვრის, სამთავროს მონასტრები) და გელათის მონასტერი; ბაგრატის ტაძარი კი არაკომპეტენტურად ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების გამო ამოღებულ იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან. ამ ფაქტმა საქართველოს კანონის აღსრულებისა და მართვის ხარვეზები კიდევ უფრო წარმოაჩინა, თუმცა საქართველოს ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გვერდზე ვხვდებით ასეთ ჩანაწერს - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა მიზნად ისახავს უძრავი და მოძრავი ძეგლების, ასევე არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვას, მოვლა-პატრონობას, აღრიცხვასა და პოპულარიზაციას; პროცესს კოორდინაციას უწევს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, რომელიც მუშაობს ძეგლების რეაბილიტაციაზე, სამუზეუმო ფონდების აღრიცხვასა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციაზე (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო) .

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავარი მარეგულირებელი დოკუმენტია „კანონი მემეკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (საქართველოს პარლამენტი 2004), რომელიც 2004 წელს მიიღეს; მასში ორჯერ შევიდა ცვლილება - 2007 და 2013 წელს. კანონის თანახმად, თითოეული ქვეყანა ვალდებულია, დაიცვას ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის პრინციპები. თავდაპირველად ეს პრინციპები ათენის ქარტიამ ჩამოაყალიბა და შეიქმნა საერთაშორისო მოძრაობა „ძეგლებისა და ღირშესანიშნაობების საერთაშორისო საბჭო“(ICOMOS) დაარსებულია 1965 წელს, ვენეციის ქარტიის საფუძველზე; მისი მიზანია კულტურული მემკვიდრეობის, ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების დაცვა და კონსერვაცია მსოფლიო მასშტაბით, მისი ფუნქციაა, წარმოადგენდეს იუნესკოს მრჩეველ ორგანოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხასთან დაკავშირებულ საკითხებში. ორგანიზაცია ხელს უწყობს კონსერვაციის სტანდარტების, მეთოდებისა და ტექნიკური დოკუმენტების შემუშავებას.

კულტურული მემკვიდრეობის მართვის სისტემაში მოვალეობები აკისრია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას; საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებულ შეთანხმების (კონკორდატის) საფუძველზე ეკლესია ფლობს კულტურული ძეგლების დიდ ნაწილს და სახელმწიფოსთან ერთად პასუხისმგებელია მის მოვლა-პატრონობაზე. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებულ საკონსტიტუციო შეთანხმების მიხედვით კულტურული მემკვიდრეობის მოვლა ერთობლივი ღონისძიებებით ხორციელდება; მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და აღდგენის მიზნით არსებობს რამდენიმე პრინციპი: მდგრადობა, ობიექტის ხელშეუხებლობის დაცვა, ძეგლების ავთენტურობის შენარჩუნება, ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდების გამოყენება.

საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის ადმინისტრირებას ძირითადად არეგულირებს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და მასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტები. ეს კანონმდებლობა განსაზღვრავს ძეგლთა სტატუსის მინიჭების, დაცვის, რეაბილიტაციის, მართვისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნორმებს ობიექტების დაზიანების ან უკანონო ქმედებების შემთხვევაში“ (საქართველოს პარლამენტი , 2007.).

საქართველო დაკავშირებულია საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ქმნიან ინტეგრირებულ სამართლებრივ ბაზას; ესენია 1972 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია, 2003 წლის არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია, კულტურული მემკვიდრეობის კონვენცია.

აღნიშნული დოკუმენტები სახელმწიფოს აკისრებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, აღრიცხვას, შენარჩუნებას, საერთაშორისო რეპორტინგისა და სტანდარტების შესრულებას.

კვლევის მიზანია გამოვიკვლიოთ, როგორ აშუქებს მედია საქართველოში მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული ძეგლების დაცვისა და შენარჩუნების პრობლემებს, გამოვკვეთოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონტექსტი და წარმოვაჩინოთ ძირითადი ასპექტები.

კვლევის თეორიები

საკითხის კვლევისთვის ძირითად თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია მუნიოს-ვინეასის კულტურული მემკვიდრეობის თეორია (Munoz-Vinas S. , 2023). პროფესორმა სალვადორ მუნიოს-ვინიასმა თანამედროვე მკვლევარმა - შექმნა კულტურული მემკვიდრეობის თეორია, სადაც ინტელექტუალური ბრწყინვალებით წარმოაჩინა და განიხილა ამ მემკვიდრეობის ფენომენი მათი მატერიალური და არამატერიალური სუბსტანციების ურთიერთშექცევადობაში; მას შემდეგ ეს ცნება „კულტურული მემკვიდრეობისა“ თანდათან თავის საზრისულ ველს იფართოებს და წარმოაჩენს კულტურული მემკვიდრეობის მთელი მოცულობის სტრუქტურულ სტრატიფიკაციად.

მუნიოს-ვინიასი ასაბუთებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის თეორია აჯამებს კულტურული დისკურსების ძლიერსა და სუსტ მხარეებს.

ვინიასის თეორიის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის თეორია აზროვნებისკენაა მიმართული და თანამედროვე სამყაროში კულტურის პროცესების მართვას ახლებურად გვანახებს.

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი შესაძლებელია წარსულის ძეგლი, მონუმენტი, მემორიალი, კულტურის თავისებური ტექსტი იყოს. ამასთან, ეს შეიძლება იყოს ადგილი თუ ქმნილება, ან ისტორიულ ტოპოსთა მთელი კომპლექსი, რომელმაც დღევანდელ დღემდე მოაღწია თავისი ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური, ესთეტიკური, ეთნოგრაფიული, ისტორიული ნამდვილობის სტატუსით.

არსებობს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა.

ბუნებრივი მემკვიდრეობა სწორედაც ბუნებრივი პროცესებით ყალიბდება და რეგულირდება. კულტურული მემკვიდრეობა კი ადამიანის მოღვაწეობისა და მისი სოციალური ღირებულებების სინთეზის შედეგად გვევლინება.

გარკვეული გაგებით, ბუნებრივი მემკვიდრეობაც შეიძლება კულტურის ობიექტად მოგვევლინოს. მთავარი მაინც ის არის, რომ კულტურულ მემკვიდრეობაში პრიორიტეტულია ის ფენომენები, რომელიც მატერიალური კულტურის არტეფაქტებით არის მოწოდებული, თუმცა, არამატერიალური კულტურის კულტურული მემკვიდრეობაც თავისებურ არტეფაქტებად წარმოგვიდგება; ისინი არსებობენ,

მოქმედებენ, ფუნქციონირებენ წმინდა ინტელექტუალურ დონეზე და ზეპირი კულტურული ტექსტების სახით რეპრეზენტირდებიან.

თავისთავად ეს ცნებაც - „კულტურული მემკვიდრეობა“ თანდათან იფართოებს კონტექსტებს და ინტერესიც მემკვიდრეობისადმი ისტორიის საკვანძო მომენტებში კიდევ უფრო აქტუალიზდება.

მეორე მხრივ, მზარდი გლობალიზაციის პროცესში, როდესაც სახეზეა რეგიონული, ნაციონალური თუ სოციალურ-ისტორიული ტრადიციების ნიველირება თუ უნიფიცირება, მემკვიდრეობის ფენომენი კიდევ უფრო აქტუალური ხდება. უნიფიცირებული „მსოფლიო კულტურა“ საშიშიც კი არის კულტურული მემკვიდრეობის იმ გამოვლინებებისადმი, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს შეეძინათ მყარი კანონმდებლობის სტატუსი და ამიტომაც უფრო მოწყვლადნი არიან გლობალიზაციის წინაშე.

თანამედროვე მედიამ კულტურული მემკვიდრეობის ანალიზისას, სხვა კულტუროლოგიური ნარატივი შემოგვთავაზა, ბევრ შემთხვევაში ეს მემკვიდრეობა და მისი დაცვა-კონსერვაცია მან თვითკმარ რეპრეზენტაციადაც აქცია.

კულტურული მემკვიდრეობა და მისი დაცვა ხშირად პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტადაც კი გამოიყენება და მას საკუთრივ კულტურის არტეფაქტებთან და მათ თვითკმარ-ესთეტიკურ და კულტურულ ღირებულებებთან საკმაოდ „შემოვლითი“ კავშირი აქვთ. დღეს კულტურის ტოტალური კონსერვაციისა და მუზეუმიფიკაციის პროცესში თანდათან დაიკარგა ამ მემკვიდრეობის უშუალო „მომხმარებლის“ სახე და სტატუსი და კონსერვაციული თუ მუზეუმიფიკაციური საქმიანობაც (და არა მოღვაწეობა) ბევრწილად იქცა იზოლირებულ სპეციფიცირებულ პრაქსისად.

მემკვიდრეობა, როგორც ასეთი, თითქოსდა განცალკევდა ამ მემკვიდრეობის რეციპიენტისა და „მომხმარებლის“ სამყაროსაგან და მას ცოცხალი, მფეთქავი ძარღვი დაუკარგა.

თანამედროვე მედია მიჰყვება ამ პროცესს და პრეპარირებული კულტურული მემკვიდრეობის ვირტუალიზაციას უწყობს ხელს; კიდევ უფრო აშორებს ადამიანს ამ მემკვიდრეობასთან.

ამის დასტურია ბოლო წლებში საქართველოს უნიკალური ძეგლის და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ოქროს ხანის სავიზიტო ბარათის - გელათის სატაძრო კომპლექსის ავარიული მდგომარეობისა და მისი გადარჩენისადმი მიძღვნილი ერთგვარი „ისტერიული“ მედია-კამპანია, რომელიც არა თუ ხელს უწყობს პროცესების დარეგულირებას, არამედ, პირიქით, საჯილდაო ქვად აქცევს ტაძარს.

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის შემდეგი მეთოდები: თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, შემთხვევის ანალიზი (case study), ისტორიული კვლევის მეთოდი.

კონტენტ-ანალიზის მეთოდმა მასალების შინაარსის შესწავლის, მისი შიგთავსის გაანალიზების, არქიტექტონიკაზე დაკვირვებისა და სტატისტიკური ანალიზის გამოყენების საშუალება მოგვცა.

ისტორიული კვლევის მეთოდი ფაქტების, არგუმენტების, ისტორიული მასალების მოპოვებასა და ანალიზში დაგვეხმარა და თანამედროვე პრობლემის გადაწყვეტის წარსულში მოძიების შესაძლებლობა მოგვცა.

შემთხვევის ანალიზის (case study) მეთოდით შევისწავლეთ გელათის და საყდრისის საკითხის მედიაში გაშუქების ძირითადი მახასიათებლები, განვაზოგადეთ პრობლემა და გამოვიტანეთ დასკვნები.

ისტორიული მიმოხილვა ქართული კულტურის მცველები

პლატონ იოსელიანისა და ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი უდიდესია ქართული კულტურის ქართული ეროვნული იდენტობის, სულიერების, კულტურული მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესში.

პლატონ იოსელიანი (1809 - 1875) პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელმაც დაიწყო უძველესი ქართული ხელნაწერების, ფოლიანტების, არტეფაქტების მოძიება, შესწავლა და მომავალი თაობებისთვის გადაცემა. ვფიქრობთ, იგი თავს ვალდებულადაც თვლიდა, მოფრთხილებოდა და შეესწავლა ქართული კულტურის უძველესი ძეგლები, რადგან ყოველთვის ამაყობდა საქართველოს ისტორიული წარსულით და წინაპრებით, ერთგან პლატონ იოსელიანი წერდა: „მე, მამა-პაპითა ვეკუთვნოდი მეფეთა სასახლეს გუარისა გამო... 1560 წლიდამ, ვითარცა ფიცისა კაცნი ვიყვენით სუანეთსა, ოდიშსა, იმერეთსა და ქართლსა, ვითარცა სასახლის კაცნი ვახლდით მთავართა და მეფეთა იმერეთისა და ქართლისა დასრულებამდე მეფობისა“. პლატონ იოსელიანის მეორე ვერსიის მიხედვით მისი გვარი იტალიური წარმოშობისა ყოფილა, რომლებიც ვენეციელ და გენუელ ვაჭრებს შემოჰყოლიან იმერეთში და მერე გავრცელებულან მთელ საქართველოში (შარაძე, 1980).

პლატონ იოსელიანმა პეტერბურგის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაასრულა(1829-1831) და ქართველი ბატონიშვილების, დახმარებით ბევრი ისტორიული მნიშვნელობის ძველი წიგნი და ნივთი შეიძინა. აკადემიაში ყოფნის დროს თეიმურაზ ბატონიშვილის თხოვნით ქართულ ენაზე თარგმნა „ისტორია მწვალებელთა ქრისტიანობისა ვიდრე დაწყებით დროთა ჩვენამდე“. 1835 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სემინარიაში ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებლად, რომლის დროსაც მან მრავალი მასალა მოაგრავა, მათ შორის მოჰკიდა ხელი საქართველოს ისტორიის მასალების შეგროვებასა და წიგნების ბეჭდვას. 1837 წელს გამოსცა ჩახრუხაძის და შავთელის „თამარიანი“. იმავე წელს მას მიანდეს საეკლესიო გუჯარების „გაშინჯვა“ და გაცნობა, მცხეთის ტაძრის წიგნთსაცავის წიგნების გადასინჯვა და კატალოგის შედგენა, რაზედაც მან შესრულებულ სამუშაოში 1839 წელს მთავრობის მორიგი ჯილდო მიიღო.

პლატონ იოსელიანმა XIX საუკუნის სამოციან წლებში „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის დროს „მამათა“ მხარე დაიჭირა; ცხადია, ახალმა თაობამ არც „მამათა“ ბანაკის რადიკალი პლატონ „ფილოსოფოსი“ დაინდო, მისი ღვაწლი შესაბამისად არ დაფასდა, თუმცა, მიგვაჩნია, რომ მან საქართველოს არაერთი ისტორიული მნიშვნელობის წყარო, დოკუმენტი და არტეფაქტი გადაურჩინა.

XX საუკუნის დასაწყისი საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოსთვის; სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდი (1918-1921) დამთავრდა გასაბჭოებით, რის გამოც ქვეყნიდან პოლიტიკური ემიგრაციის დიდი ტალღა წავიდა დასავლეთისკენ. ეს იყო ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. ემიგრნტთა შორის აღმოჩნდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების

თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ცნობილი მეცნიერი, ისტორიკოსი და არქეოლოგი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის პირველმა ხელისუფლებამ ჩააბარა ქვეყნის კუთვნილი განძის ისტორიულად განსაკუთრებით ღირებული ნაწილი. მასში შედიოდა თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლის ხატები და თვალ-მარგალიტით მოოჭვილი სხვა საგანძური, ძვირფასი ხელნაწერები, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათისა და მარტვილის სამონასტრო ქონება, თბილისის სასახლის განძეულობა, ბორჯომის სასახლის ქონება და სხვა მრავალი. მიუხედავად იმისა, რომ განძის მესაკუთრედ, ოფიციალურად, საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ფაქტობრივად, განძს თაყაიშვილი მეურვეობდა. განძი, სულ 39 ყუთი და იგი ექვთიმეს მარსელის ბანკში ჰქონდა შენახული.

განძის ცალკეული ექსპონატების ყიდვა სურდა ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა მუზეუმს; მიუხედავად იმისა, რომ თაყაიშვილი შეჩერვებულად ცხოვრობდა პარიზის მახლობლად, საქართველოს მთავრობის მიერ შესყიდულ ლევილის მამულში, ამაზე კატეგორიულად არ დასთანხმდა.

გარკვეული პერიოდი განძი საფრანგეთმა დაისაკუთრა. აქედან მოყოლებული თაყაიშვილი საფრანგეთის მთავრობისგან ითხოვდა, რომ განძი საქართველოს სსრ-სთვის გადაეცათ. 1938 წელს საფრანგეთმა დააბრუნა ხელნაწერები. საბოლოოდ კი ეს მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ჯერ კიდევ 1944 წლის ნოემბერში ექვთიმე თაყაიშვილი შეხვდა სსრკ -ს ელჩს საფრანგეთში - ბოგომოლოვს, რომელსაც გააცნო განძთან დაკავშირებული ვითარება და შემწეობა სთხოვა, თანაც გადასცა ვრცელი მოხსენება გენერალ დე გოლის სახელზე. დე გოლმა განკარგულება გასცა საქართველოს საუნჯის დაბრუნების თაობაზე, რაც 1945 წელს განხორციელდა კიდეც.

დღემდე ექვთიმე თაყაიშვილი ითვლება საქართველოს განძის მცველად; რომ არა, მისი ნებისყოფა და ძალისხმევა, ქვეყანა უძვირფასესი ეროვნული საგანძურის გარეშე დარჩებოდა; სწორედ ამიტომ იგი გარდაცვალების შემდეგ ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

წარსულის მოფრთხილებისა და არტეფაქტების შენარჩუნებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, შემოვინახოთ თავგანწირვის ასეთი ფაქტები, რადგან ამაზეა დამოკიდებული წარსულისა და აწმყოს გააზრება და მომავალი თაობისთვის ქართული მატერიალური და არამატერიალური ისტორიული ძეგლების შენახვა და გადაცემა.

საინტერესოა, რომ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელიც აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში; ექვთიმე თაყაიშვილთან დაკავშირებითაც არაერთი დოკუმენტური ფილმი და სიუჟეტი მიუძღვნეს ქართული განძის მცველს (1tv.ge/video/eqvtime/) .

გელათის „შემთხვევა“

გელათის მონასტერი XII საუკუნის მართმადიდებლური სამონასტრო კომპლექსი და იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს; გელათი შუა საუკუნეების საქართველოს კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენს; კომპლექსი აგებულია ქალაქ ქუთაისის ჩრდილო აღმოსავლეთით საქართველოს მეფის - დავით

აღმაშენებლის (1073-1125) მიერ 1106 წელს; მისი სახელწოდება - „გელათი“ სავარაუდოდ მომდინარეობს იერუსალიმის ერთ-ერთი კარიბჭის - „გენნათის“ სახელიდან.

იგი ქართული ეროვნული იდენტობის, სულიერების, კულტურული მეხსიერების უნიკალური სიმბოლოა. გელათი გამოირჩევა განსაკუთრებული არქიტექტურული იერსახით, კედლის მხატვრობით, ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობით და კულტურულ საგანმანათებლო ფუნქციით. მრავალსაუკუნოვან ძეგლს რეაბილიტაცია და კონსერვაცია დასჭირდა. 2015-2018 წელს წარმოებულმა სარემონტო სამუშაოებმა, რომელთაც დაუგეგმავი და ტექნიკურად გაუმართავი ჩარევები ახლდა, შენობაში წყლის ინფილტრაცია გამოიწვია, რის შედეგადაც ფრესკები და სტრუქტურული ელემენტები დაზიანდა.

გელათის მონასტრის დაზიანების საკითხი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და მედიაინტერესის საგანი გახდა. ქართულმა მედიამ და ონლაინგამოცემებმა გააშუქეს კულტურული ძეგლის ირგლივ განვითარებული მოვლენები, განხილვის საგანი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, სახელმწიფოს და საპატრიარქოს როლი. 2022 წლებში იუნესკოს ICOMOS-ის და ICCROM-ის ერთობლივი მისიების ანგარიშებმა ცხადყო პრობლემის სისტემურობა და გადაუდებელი სტრუქტურული საკონსერვაციო ღონისძიებების საჭიროება.

ქართულ მედიაში გელათის სამონასტრო კომპლექსის პრობლემებთან დაკავშირებით დიდი ხანია მიმდინარეობს დავა; 2014 წლიდან დაწყებული სარესტავრაციო სამუშაოები არც თუ წარმატებული აღმოჩნდა და სერიოზული საფრთხე შეექმნა კომპლექსის ცენტრალური ტაძრის არსებობას.

ამ პროცესებს, ცხადია, აქტიურად აშუქებდა და აშუქებს მედია. მათ შორის გამორჩეულია გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანების -„აი, ფაქტის“ კვლევები.

„აი, ფაქტის“ დაარსებას საფუძვლად დაედო ქვეყანაში არსებული მედიაგარემოს განვითარების მცდელობა. ის ცდილობს, მაღალი ხარისხის სანდო მედიაპროდუქტი შექმნას. „აი, ფაქტი“ ძირისძირობამდე მიჰყვება გელათის პრობლემების არსს 2014 წლიდან დღემდე. 2023 წლის 27 ივნისს (/ifact.ge/pages/mission-and-values/)გვაწვდის კვლევას იმის შესახებ, რა დაზიანებები აქვს ტაძარს?

- დაზიანებულია სახურავი და შესაცვლელია მისი სტრუქტურა;
- დაზიანებულია კედლის მხატვრობა და სჭირდება აღდგენა-შენარჩუნების სამუშაო;
- ღვთისმშობლის უნიკალური მოზაიკა საჭიროებს კონსერვაციას;
- წმინდა გიორგის ტაძრის სახურავი დაზიანებულია და საფრთხეშია კედლის მხატვრობაც.

გელათის ცენტრალური ტაძარი 2020 წლის ზამთრიდან კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა; ყინვებისგან დაიბზარა და დატყდა კრამიტის სახურავი; შედეგად, ინტერიერში გაჟონა წყალმა და შუა საუკუნეების მხატვრობა დააზიანა. გაჩნდა სახურავის გამოცვლის აუცილებლობა. კულტურის სამინისტრომ გელათს ჯერ ტენტი დააფარა და შემდეგ - ლითონი, თუმცა, პროცესები კიდევ უფრო დამძიმდა.

2021 წლის კვლევებზე დაყრდონით, „აი, ფაქტი“ (ifact.ge/gelati-dghes/)ასკვნის, რომ გელათისათვის მიყენებული ზიანი სააგენტოს ნეპოტისტური მართვის მოდელისა და სამსახურებრივი გულგრილობის ბრალია.

ამავე პოზიციას იზიარებს „რადიო „თავისუფლება“ და აღნიშნავს - „ყველა იმ ფაქტს, რასაც სოციალურ ქსელში წერენ, დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოს გულგრილობასა და არაეფექტიან მოქმედებებში ადანაშაულებს. ამ პროცესში კიდევ და კიდევ მეტი ზიანი მიადგა ცენტრალურ ტაძარს. იქ მომსახურე პერსონალი წერდა - „ფრესკებიდან ჩამოცვენილ ნაწილაკებს, რომლებიც დაგვისას გვხვდება, მონასტრის სხვა ნარჩენებთან ერთად ვყრით და ის იწვება“. (www.radiotavisupleba.ge/a/31265629.html)

მაშასადამე, დღითი დღე ნადგურდება უძველესი კულტურული მემკვიდრეობა და ეს შეუქცევად პროცესად იქცა; მით უფრო, რომ საპატრიარქოს პოზიციაც დიდი ხნის მანძილზე გაურკვეველი იყო; როგორც „აი, ფაქტი“ ირწმუნება, საპატრიარქოს პოზიციები აცდენილი აღმოჩნდა იუნესკოს პოზიციებისგან, რამაც პრობლემების გაღრმავება გამოიწვია. (www.radiotavisupleba.ge/a/31265629.html)

წლების მანძილზე ხან ქართველი და ხან უცხოელი სპეციალისტები უშედეგოდ ცდილობდნენ, რომ გელათში წყალს არ შეეღწია.

მედიაში ატეხილ განგაშს ცვლილებები მოჰყვა კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოში შეიცვალა პასუხისმგებელი პირები - გელათის რეაბილიტაციის მართვა კულტურის სამინისტროდან საპატრიარქომ გადაიბარა; თუმცა, მიუხედავად გაწეული ძალისხმევისა, პრობლემები კვლავ უცვლელია და ტაძარს დღემდე წყალი აზიანებს.

ქართული მედია აქტიურად აგრძელებს გელათის პრობლემებისთვის თვალყურის დევნებას; თავის მხრივ, საპატრიარქოს მხრიდან გელათის რესტავრაციის პროექტში ჩართული პირები მედიასთან საუბრისას აღნიშნავენ, რომ პროცესი საჯარო იქნება და საზოგადოება დაგეგმილი და მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციას დროულად მიიღებს.

ეს კი უდავოდ და უპირველესად ქართული მედიის დამსახურებაა!

ისიც ქართული მედიის მნიშვნელოვანი დამსახურებაა, რომ 2025 წლის მაისში გელათში დროებითი გადახურვის სამუშაოები დასრულდა; ახლა მთავარია, გაიხსნას ტაძრის ჭერი, განიავდეს შიდა სივრცე, აორთქლდეს წლობით დაგროვილი ნესტი და რაც შეიძლება მალე მიეხედოს დაზიანებულ მხატვრობას; ყოველ შემთხვევაში, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლებელია, გადავარჩინოთ. (/ifact.ge/gelatis-sazianod-gaflanguli-dro/)

თუმცა, სამწუხაროდ, დაუდგენელია, შესაძლებელი იქნება თუ არა ფრესკების უკვე დაკარგული ფრაგმენტების აღდგენა.

წინ დიდი სამუშაოა და ქართული მედია ჩვეული თავდადებით აგრძელებს გელათის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ არსებული რეალობის გაშუქებას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მედიაში გელათის საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიცია ხშირად ნეგატიურად შუქდება. იუნესკოს ან რომელიმე ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული კრიტიკული დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ მედიის მხრიდან ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება კიდევ უფრო მძაფრდება. მას შემდეგ რაც პროცესების მართვა საპატრიარქომ გადაიბარა, ტენდენცია არ შეცვლილა და მედიის მხრიდან კვლავ უნდობლობა და კრიტიკული დამოკიდებულება იგრძნობა.

საყდრისის „შემთხვევა“

საქართველოში 2014 წლის მიწურულსა და 2015 წლის დასაწყისში საყდრისის უძველესი ოქროს მომპოვებელი მაღაროს აფეთქება ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების მიზეზი გახდა, აფეთქება კომპანია „RMG გოლდმა“განახორციელა, ეს ამბავი თვეების განმავლობაში ქართული საინფორმაციო სივრცის ლიდერი იყო.

საინტერესოა, რომ აფეთქების ფაქტს ერთი დღით ადრე წინ უძღოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ არასრული სამუშაო დღის განმავლობაში განხორციელებული 17 მოქმედება და 4 გადაწყვეტილება, „რომელიც (მედიის განცხადებით) საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევით მიიღეს“

ამ გადაწყვეტილების შედეგად საყდრისს ძეგლის სტატუსი მოეხსნა და კომპანიას არქეოლოგიური ობიექტის დაშლა (აღების) უფლება მიენიჭა. (publika.ge/saydrisis-afetqebidan-5-weli-gavida-kidev-ertkhel-mis-mnishvnelobasa-da-ghirebulebaze/)

წლების მანძილზე თითქმის ყველა ქართულმა მედიასაშუალებამ აღნიშნული ფაქტი ნეგატიურ კონტექსტში გააშუქა, რაც გასაკვირი არ არის; ბოხუმის უნივერსიტეტის არქეოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორის - თომას შტიოლნერის მტკიცებით, საქართველოს მთავრობამ, ფაქტობრივად, გააყალბა მონაცემები; მეტიც, საყდრისის აფეთქებას ის ადარებდა ერაყსა და ავღანეთში ტერორისტებისა და ფუნდამენტალისტების მიერ ძეგლების ნგრევას.

რომ არა ქართული მედია, ფართო საზოგადოებისთვის გაუგებარი დარჩებოდა, რა როლი ჰქონდა საყდრისს ქართული კულტურის ისტორიაში; არ ეცოდინებოდა, რომ ის ოქროს სამთო წესით მოპოვებისა და დამუშავების ყველაზე ძველ მტკიცებულებას წარმოადგენდა კავკასიაში და მსოფლიო მასშტაბითაც ყველაზე ძველი იყო; მისი საწყისი ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებს აღწევდა. მედიიდან შეიტყო ქართულმა საზოგადოებამ ისიც, რომ საყდრისში სრულად იყო შემონახული ოქროს მომპოვებელ-მწარმოებელი იმდროინდელი თემის დამახასიათებელი ყველა ასპექტი.

საყდრისის პრობლემებს მყისიერად გამოეხმაურა „რადიო „თავისუფლებაც“; 2014 წლის 19 დეკემბერს წერდა - „ის (საყდრისი) 500-დან 1000 წლამდე უფრო ძველია, ვიდრე ეგვიპტეში მიკვლეული საბადო, ეგრეთ წოდებული „ფარაონის ოქრო“ ...აქ უნდა აშენებულიყო ცოცხალი მუზეუმი, სადაც (მაღაროს უძველეს გვირაბებში) შევიდოდნენ ტურისტები... აქ უნდა აშენებულიყო სასტუმროები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი... ახალგაზრდა არქეოლოგიის სკოლა და საგანმანათლებლო ცენტრი“. (www.radiotavisupleba.ge/a/brdzola-sakdrisis-gadasarchenad/26752694.html)

მიუხედავად იმისა, რომ გამოხმაურება მედიის მხრიდან უდავოდ ხმაურიანი იყო, სამწუხაროდ, რაიმეს შეცვლა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან საყდრისის ოქროს საბადოები 2014 წლის 13 დეკემბრიდან ფიზიკურად აღარ არსებობს.

თუმცა უდავოდ დიდი როლი შეასრულა საქართველოში ე.წ. საყდრისის საქმის მედიარეპრეზენტაციამ, რომელმაც სულ მალე დაკარგა პოლიტიკური ინსტრუმენტის როლი და საბოლოო ჯამში, მაინც არ გამოიკვეთა მედიაში ბოლომდე, რა როლი ჰქონდა რეალურად მას ქართული კულტურის ისტორიაში.

მედია, როგორც ყველაზე პოპულარული პლატფორმა თანამედროვე თაობისათვის, თავის თავზე იღებს ამ მოვალეობას, რომ პოპულარიზაცია მოახდინოს ქართული ისტორიული ძეგლებისა და იმ ადამიანებისა, რომლებმაც დღემდე მოიტანეს საქართველოს კულტურული საგანძური და შეახსენოს ახალგაზრდებს, რომ ამ

ყველაფერს შენარჩუნება და განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება.ხელისუფლების პოზიციაც ასეთია; „2025 წლის ბოლომდე დაიწყო 5 მუზეუმის რეაბილიტაცია. ესენია: გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი ვანში, ვაჟა-ფშაველას მუზეუმი და სახლ-მუზეუმი ჩარგალში, დადიანების სასახლეების დედოფლისეული რეზიდენცია ზუგდიდში.

საქართველოში არსებულ თითოეულ მუზეუმში ჩვენი ერისთვის ძვირფასი საგანძური ინახება. საგანძური კი უსულო ნივთების ერთობლიობა არ არის, - იგი ჩვენი მდიდარი კულტურის ისტორიაა. ისტორიასა და ტრადიციას, როგორც ერის მეხსიერებას, სათუთი მოვლა სჭირდება“. (publika.ge/article/standartebis-dacvis-gareshe-eqsponatebs-emuqreba-dazianeba-da-ganadgurebac-ki-interviu-salome-ciskarishviltan/)

უდავოა, რომ მედია დღემდე არის ამ მითოლოგიზირებული ფაქტის რეპრეზენტატორი და ყოველ ჯერზე აღნიშნავს ამ ფენომენის პარადიგმულ მნიშვნელობას და მას კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის ქრესტომათიულ მოდელად გვისახავს.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე მედია დღეს კულტურული მემკვიდრეობის არათუ ობიექტურ რეპრეზენტაციას ახდენს, არამედ მის მოდელირებასაც წარმატებით ითავსებს.

დასკვნა

ქეისთადის, კონტენტ ანალიზისა და ისტორიული მიდგომის მეთოდით შევისწავლეთ კონკრეტული და დღეისათვის ქართული რეალობითვის ყველაზე აქტუალური შემთხვევები; შედეგად, მედიის ერთმა ნაწილმა აჩვენა სიღრმისეული პროფესიული დაინტერესება, მეორე ნაწილმა კი - თემის პოლიტიზებისკენ მიმართული ტენდენციები. გვინდა აღვნიშნოთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის გაშუქების პრობლემები მხოლოდ ინფორმაციული მოვლენა არ არის; ის სერიოზული სოციალური ინსტრუმენტია, რომელიც ზემოქმედებს პოლიტიკურ პროცესებზე, საზოგადოებრივ განწყობებსა და სახელოვნებო პროფესიულ წრეებზე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მედიის ობიექტურობა და პასუხისმგებლობა ასეთ მგრძნობიარე თემებზე მნიშვნელოვანია.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულმა მედიასაშუალებებმა განსხვავებული მიდგომები აჩვენეს საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პრობლემები.

ბიბლიოგრაფია

ლ. ზაქარაძე, კულტურის სოციოლოგია, კლასიკოსები, ცნებები, პრობლემები, თბილისი. 2009.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/30460?publication=0

https://faolex.fao.org/docs/pdf/geo137724GEO.pdf

Salvador Munoz-Vinas; A Theory of Cultural Heritage; London; https://doi.org/10.4324/9781003288121; 2023;

გ. შარაძე, პლატონ იოსელიანი რუსთველოლოგი, თბილისი, 1980.

ელექტრონული რესურსები:

https://1tv.ge/video/eqvtime/
https://ifact.ge/pages/mission-and-values/
https://ifact.ge/gelati-dghes/
https://ifact.ge/gelati5/
https://www.radiotavisupleba.ge/a/31265629.html
https://www.radiotavisupleba.ge/a/31265629.html
https://www.radiotavisupleba.ge/a/31265629.html
https://www.radiotavisupleba.ge/a/31265629.html
https://ifact.ge/gelatis-sazianod-gaflanguli-dro/
https://ifact.ge/gelatis-samushaoebi-dasrulda-kitkhvebi-ara/
https://publika.ge/saydrisis-afetqebidan-5-weli-gavida-kidev-ertkhel-mis-mnishvnelobasa-da-ghirebulebaze/
https://publika.ge/saydrisis-afetqebidan-5-weli-gavida-kidev-ertkhel-mis-mnishvnelobasa-da-ghirebulebaze/
https://www.radiotavisupleba.ge/a/brdzola-sakdrisis-gadasarchenad/26752694.html
https://publika.ge/article/standartebis-dacvis-gareshe-eqsponatebs-emuqreba-dazianeba-da-ganadgurebac-ki-interviu-salome-ciskarishviltan/